

# ქ.ზათუმის აკვატორიის სანაპირო პროცესების შესახებ

გიორგი ჭოჭუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების ტექნოლოგიებში მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჯანელიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

# სარჩევი

აბსტრაქტი.....	3
Abstract.....	4
1.აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება.....	5
1.1. ადგილმდებრეობა.....	5
1.2.რელიეფი.....	6
1.3.კლიმატი.....	7
1.4. ჰიდროგრაფია.....	9
2.აჭარის სანაპირო.....	12
2.1 ნაპირის მცნება.....	12
2.2. შავი ზღვის ფსკერის მორფოლოგია.....	14
2.3.შავი ზღვის დინებები.....	16
2.4. შტორმები.....	17
2.5 მდინარე ჭოროხი.....	21
2.6 ბათუმის სანაპირო.....	25
დასკვნა.....	36
რეკომენდაციები.....	38
ბიბლიოგრაფია.....	40

## აბსტრაქტი

შავი ზღვის სანაპირო ზონა კლიმატის მიმდინარე გლობალური ცვლილებების მიმართ ერთ - ერთ ყველაზე მოწყვლად გეოეკოლოგიურ სისტემად არის მიჩნეული. გლობალური დათბობის შედეგად ხდება ზღვის საშუალო დონის აწევა, რაც თავის მხრივ იწვევს ზღვის ნაპირის წრეცხვასა და უკან დახევის პროცესს. საბოლოო ჯამში ვიღებთ ზღვის ნაპირის ნაწილზე მდებარე შენობა - ნაგებობების დაზიანებასა და ნგრევას, სანაპირო ზონის რეკრეაციული რესურსების გაღარიბებას, ეს ყველაფერი კი უარყოფითად ისახება ქვეყნის განვითარებასა და ეკონომიკაზე.

სწორედ ასეთ პრობლემებს ვხვდებით აჭარის სანაპირო ზონაზე დაკვირვების შედეგად, რომლის დიდი ნაწილი დღემდე ინტესიურად ირეცხება. აქ საფრთხის ქვეშ იმყოფებიან ამ სანაპირო ზოლში დასახლებული მოსახლეობა, რომლებიც დგანან უსახლკაროდ დარჩენის რისკის ქვეშ. განსაკუთრებით კრიტიკულად გამოიყურება ადლიის სანაპირო ზოლი, სადაც 1998 – 2001 წლებში სანაპიროს 4 კილომეტრიან მონაკვეთზე წაირეცხა დაახლოებით 2.5 ჰექტარი წყალზედა პლაჟი. აქ ყველაზე კრიტიკულ მდგომარეობას ვხვდებით აეროპორტის მიმდებარე რაიონში, სადაც იმავე პერიოდში დაახლოებით 8 მეტრი სიგანის პლაჟი აღმოჩნდა ზღვაში.

გამოვყოფ რამოდენიმე საკვლევ კითხვასაც:

- რა წარმოადგენს ნაპირის წარეცხვის მიზეზს?
- რამ გამოიწვია სანაპირო ზოლის მოწყვლადობა ქალაქ ბათუმში?
- შესაძლებელი არის თუ არა ამ პრობლემის მოგვარება?

ასევე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის სანაპირო ზოლი, სადაც ყოველი ძლიერი შტორმის შედეგად ხდება პლაჟების წარეცხვა, ბულვარისა და მიმდებარე ტერიტორიების დასილვა და დაზიანება. როგორც ჩანს ეს პრობლემა მეტად აქტუალურია და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე შევხებოდი ამ თემას. ვინაიდან ეს პროცესები შეუქცევად მიმდინარეობს და საბოლოო ჯამში ვიღებთ ძალიან დიდ ზიანს.

## **Abstract**

The Black Sea coastal zone is one of the most vulnerable regions to global change. As a result of global warming, the average sea level is rising, followed by the destruction of buildings on the seashore - the depletion of coastal recreational resources, which has a negative impact on the development and economy of the country.

These kinds of problems concern the coast of Adjara. Particularly critical is the Adlia coastline, where between 1998 and 2001, about 2.5 hectares of beaches were washed away. The most critical situation here is in the vicinity of the airport, where during the same period a beach about 8 meters wide sank in the sea.

I will also highlight a few research questions:

- **What is the reason for all this?**
- **What factors are affect the coast of Batumi?**
- **Is it possible to solve this problem?**

Another visible example is the coastline of Batumi, where each strong storm damages the coast. This problem is topical, which can cause big damage.